ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4906378

ნომერი: AR1736312

თარიღი : 24.02.2020

გაცემის თარიღი : 19.03.2020

გაცნობის თარიღი : 19.03.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N53;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ნატალია ქავთარაძე პ/ნ 16001008808
- თბილისი ურეკის ქუჩა

ორგანიზაცია:
- შპს ენერჯი კოდი: 400113854

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 ოქტომბრის №4710995 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორებაზე თაობაზე.
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 24 თებერვალს NAR1736312 განცხადებით მომართა ნატალია ქავთარაძემ და მოითხოვა სამსახურის 2019 წლის 15 ოქტომბრის №4710995 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორება ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.
სამსახურმა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებების შესწავლის შედეგად დაადგინა, რომ სამსახურის 2019 წლის 15 ოქტომბრის №4710995 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, აკაკი ბელიაშვილის ქუჩა N53, N01.13.03.010.054 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალფუნქციური შენობა-ნაგებობის (ავტოსამრეცხაო, ავტოფარეხი, ოფისი, სამეურნეო შენობა და სხვა დამხმარე ნაგებობები) არქიტექტურული პროექტი. ხოლო, სამსახურის 2019 წლის 29 ნოემბერის N4772457 ბრძანებით, გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2019 წლის 29 ნოემბრიდან 2021 წლის 29 ნოემბრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2019 წლის 15 ოქტომბრის №4710995 ბრძანებაში არასწორად აისახა ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები და შესაბამისად, ითხოვს შეცდომის გასწორებას ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით, კერძოდ განაშენიანების ფართობად 778.5 კვ.მ-ის ნაცვლად 938.5 კვ.მ-ის დაფიქსირებას, საოფისე ფართობად 1610.5 კვ.მ-ის ნაცვლად 1545.25 კვ.მ-ის დაფიქსირებას, კომერციულ ფართობად 235.2 კვ.მ-ის ნაცვლად 346 კვ.მ-ის დაფიქსირებას, საზაფხულო ფართობად 54.25 კვ.მ-ის ნაცვლად 49.75 კვ.მ-ის დაფიქსირებას, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 354.5 კვ.მ-ის ნაცვლად 331.50 კვ.მ-ის დაფიქსირებას, სასაწყობე ფართობად 98.0 კვ.მ-ის ნაცვლად 12.50 კვ.მ-ის დაფიქსირებას, დამხმარე ფართობად 54.5 კვ.მ-ის ნაცვლად 217 კვ.მ-ის დაფიქსირებას, ავტოსადგომის ფართობად 509.0 კვ.მ-ის ნაცვლად 436.75 კვ.მ-ის დაფიქსირებას, საერთო ფართობად 2915.95 კვ.მ-ის ნაცვლად 2938.75 კვ.მ-ის დაფიქისირებას, სამშენებლო მოცულობად 11904.3 კუბ.მ-ის ნაცვლად 12532.85 კუბ.მ-ის დაფიქსირებას, 0.00 ნიშნულის ზევით 10097.55 კუბ.მ-ის ნაცვლად 10740.35 კუბ.მ-ის დაფიქსირებას, 0.00 ნიშნულის ქვევით 1806.75 კუბ.მ-ის ნაცვლად 1792.50 კუბ.მ-ის დაფიქსირებას.
სამსახურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ გეგმა - ნახაზებს და დაადგინა, რომ 2019 წლის 15 ოქტომბრის №4710995 ბრძანებაში განაშენიანების ფართობად მითითებული უნდა იყოს 938.5 კვ.მ, საერთო ფართობად 2938.75 კვ.მ, საოფისე ფართობად 1545.25 კვ.მ, კომერციულ ფართობად 346 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 49.75, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 331.50 კვ.მ, სასაწყობე ფართობად 12.50 კვ.მ, დამხმარე ფართობად 217 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 436.75 კვ.მ, სამშენებლო მოცულობად 12532.85 კუბ.მ, 0.00 ნიშნულის ზევით 10740.35 კუბ.მ, 0.00 ნიშნულის ქვევით 1792.50 კუბ.მ. ამასთან, გეგმარება არ იცვლება, უბრალოდ ხდება გეგმებზე ფართების დაზუსტება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ადმინისტრაციულ აქტში გაასწოროს ტექნიკური შეცდომა.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 ოქტომბრის №4710995 ბრძანებაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:
1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 ოქტომბრის №4710995 ბრძანებაში და განაშენიანების ფართობად მიეთითოს 938.5 კვ.მ, საერთო ფართობად 2938.75 კვ.მ, საოფისე ფართობად 1545.25 კვ.მ, კომერციულ ფართობად 346 კვ.მ, საზაფხულო ფართობად 49.75, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობად 331.50 კვ.მ, სასაწყობე ფართობად 12.50 კვ.მ, დამხმარე ფართობად 217 კვ.მ, ავტოსადგომის ფართობად 436.75 კვ.მ, სამშენებლო მოცულობად 12532.85 კუბ.მ, 0.00 ნიშნულის ზევით 10740.35 კუბ.მ, 0.00 ნიშნულის ქვევით 1792.50 კუბ.მ.

2. სამსახურის 2019 წლის 15 ოქტომბრის №4710995 ბრძანებით შეთანხმებული არქიტექტურული გეგმები ჩანაცვლდეს წინამდებარე განცხადებაზე, ფაილის მიმაგრების ველში წარმოდგენილი გასწორებული არქიტექტურული გეგმებით.

3. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის

15 ოქტომბრის №4710995 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2019 წლის 15 ოქტომბრის №4710995 ბრძანებასთან ერთად.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.